ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 517

“20” ოქტომბერი 2023 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და აუქციონში გამარჯვებულს შორის, 2016 წლის 27 აპრილს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-307-14-19617 ხელშეკრულებითა და 2019 წლის 8 ოქტომბერს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-484-9-23876 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების გაუქმების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ზ“ ქვეპუნქტის, 127² მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა და „თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-72 დადგენილებით დამტკიცებული წესის 24-ე მუხლის მე-9 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის” 63-ე მუხლის საფუძველზე და ასევე, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და აუქციონში გამარჯვებულს შორის, 2016 წლის 27 აპრილს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-307-14-19617 ხელშეკრულებითა და 2019 წლის 8 ოქტომბერს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-484-9-23876 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების გაუქმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 4 ოქტომბრის №23.1500.1647 განკარგულების გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს მიერ, ამ განკარგულების საფუძველზე, შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოცემიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში, შპს „ემ. სი აი. პროჯექტის“ (ს/ნ. 204496410) მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 228 944 (ორას ოცდარვა ათას ცხრაას ორმოცდაოთხი) ლარის გადახდის პირობით, გაუქმდეს:

2. ა)ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და იანივ მოშეს (პ/ნ. 01017037851) შორის, 2016 წლის 27 აპრილს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-307-14-19617 ხელშეკრულებით განკარგულ 165 კვ.მ. მიწის ნაკვეთსა (ს/კ. №01.18.04.018.068) და 59 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (№01.18.04.018.062) ზემოაღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობა - „რეკრეაციული სივრცის მოწყობის პირობით“;

3. ბ)ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ემ. სი აი. პროჯექტს“ (ს/ნ. 204496410) შორის, 2019

წლის 8 ოქტომბერს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-484-9-23876 ხელშეკრულებით განკარგულ 104 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (ს/კ. №01.18.04.018.080) ზემოაღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობა - „შეზღუდვა - მშენებლობის უფლების გარეშე";

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე